



**"მწვანე ალტერნატივა" ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილებას აპროტესტებს**

თბილისი.16.06.09."ჯი-ეიჩ-ენი". "მწვანე ალტერნატივა" ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილებას აპროტესტებს. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2009 წლის 11 ივნისს გამოაცხადა აუქციონი ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი სპეციალური ლიცენზიების გაცემის მიზნით. გასაყიდ ობიექტებს წარმოადგენს ამბროლაურის რაიონის ტყის ფართობები.

"ამ ქმედებით კიდევ ერთხელ მოხდა ხელყოფა ადამიანების უფლებისა, მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რითაც დაირღვა ქვეყნის კანონმდებლობა. გარემოსთან, ტყეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გაუმჭვირვალედ მიღება ნებსით თუ უნებლიეთ, ისინი ხელს უწყობს კორუფციის შესაძლებლობის გაჩენას, საზოგადოებაში დამაბულობის კერის გაღვივებას და საკითხის პოლიტიზებას", \_ ნათქვამია "მწვანე ალტერნატივი" მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მათი განცხადებით, აღნიშნულ შემთხვევაში, გასული წლებისგან განსხვავებით, სატყეო დეპარტამენტმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აუქციონზე გასატანად მიაწოდა ის ტყეები, სადაც ტყეთმოწყობა (ტყის რესურსების ინვენტარიზაცია) არის ჩატარებული, ასევე ლიცენზიით გასაცემ ობიექტებში არ შეუტანიათ მაღალი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულების ტყეები.

"ეს ყოველივე მისასალმებელია, მაგრამ ტყითსარგებლობის აუქციონების გამოცხადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული დარღვევები, სამწუხაროდ, ბოლომდე არ აღმოფხვრილა", \_ აცხადებენ ისინი.

მათი განცხადებით, გასული აუქციონების შედეგებისა და ლიცენზიანტების მიერ წარმოდგენილი სავალდებულო ანგარიშების გაანალიზების შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ არსებული სალიცენზიო პირობები უვარგისია და ვერ უზრუნველყოფს ვერც ტყის დაცვასა და მდგრად გამოყენებას და ვერც ინვესტორების დაინტერესებას.

"არსებული პრობლემის გადასაჭრელად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც მუშაობს ახალ სალიცენზიო პირობებზე. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილება, იმ დროს გამოცხადებინა ახალი აუქციონი, როდესაც ახალი სალიცენზიო პირობები ჯერ არ არის ძალაში შესული, არაკოლეგიალური იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიმართ, რომელთათვისაც ეს მოულოდნელი აღმოჩნდა. ასევე არაკორექტული იყო ეს ქმედება მომავალ ინვესტორებთან მიმართებაში, რომლებსაც ლიცენზიის მიღების შემთხვევაში, აუქციონის შესახებ განცხადებაში მოცემულისგან განსხვავებული პირობებით მოუწევთ მუშაობა. ასეთი ტიპის ქმედებები ნამდვილად ვერ შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობაში პატიოსანი, სერიოზული ინვესტორების ჩაბმას", \_ აღნიშნულია განცხადებაში.

16.06.2009